ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5483738

ნომერი: AR1834206

თარიღი : 25.06.2021

გაცემის თარიღი : 02.07.2021

გაცნობის თარიღი : 02.07.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თ. ერისთავი , N 1 , (ნაკვ. 36/077);

დამკვეთი-განმცხადებელი

- თინათინ ხუციშვილი პ/ნ 01005013319
- თბილისი დიღმის მას. IV კვ. კორ. 12 ბ. 39

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 08 დეკემბრის №5217533 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 25 ივნისს №AR1834206 განცხადებით მომართა თინათინ ხუციშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 08

დეკემბრის №5217533 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ნომენკლატურასთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 27 თებერვლის №3842870 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, თ. ერისთავის ქუჩა №1-ში (ნაკვ. 36/077) არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.12.08.036.077), არსებული პურის ქარხნისთვის დამატებითი შესაფუთი საამქროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 27 თებერვლიდან 2019 წლის 27 დეკემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2019 წლის 16 დეკემბრის №4793454 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის 2018 წლის 27 თებერვლის №3842870 ბრძანებაში და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 16 დეკემბრის ჩათვლით.
ზემოაღნიშნულ ბრძანებებში, ნომენკლატურის ველში, დაფიქსირებულია მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა.
სამსახურის 2020 წლის 08 დეკემბრის №5217533 ბრძანებით კვლავ შევიდა ცვლილება სამსახურის 2018 წლის 27 თებერვლის №3842870 ბრძანებაში და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 08 დეკემბრიდან 2021 წლის 08 დეკემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2020 წლის 08 დეკემბრის №5217533 ბრძანების ნომენკლატურის ველში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, „მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა“-ს ნაცვლად დაფიქსირებულია „ფაბრიკა“. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. კერძოდ, სამსახურის 2018 წლის 27 თებერვლის №3842870 და 2019 წლის 16 დეკემბრის №4793454 ბრძანებებში, ნომენკლატურის ველში დაფიქსირებულია „მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა“. სამსახურის 2020 წლის 08 დეკემბრის №5217533 ბრძანებით კი, სამსახურის 2018 წლის 27 თებერვლის №3842870 ბრძანებაში ცვლილება შევიდა მხოლოდ მშენებლობის ვადის ნაწილში. შესაბამისად, ნომენკლატურა უნდა დაფიქსირებულიყო სამსახურის 2018 წლის 27 თებერვლის №3842870 და 2019 წლის 16 დეკემბრის №4793454 ბრძანებების შესაბამისად (მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა), თუმცა, ტექნიკური შეცდომის გამო საპროექტო ობიექტი ნომენკლატურაში არასწორად დაფიქსირდ, ხოლო, ბრძანების მე-2 და მე-3 პუნქტებში ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების რეკვიზიტები სწორად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 08 დეკემბრის №5217533 ბრძანებაში და ბრძანების ნომენკლატურის ველში „ფაბრიკა“-ს ნაცვლად დაფიქსირდეს „მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა“.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 08 დეკემბრის №5217533 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 08 დეკემბრის №5217533 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.